მატჩი ქუთაისში

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 28 მაისი.

“ტორპედო” (ქუთაისი) – “დინამო” (თბილისი) – 1:1 (0:1).

“ტორპედო”: გოგია (გრძელიშვილი), ჩხაიძე, წვერავა, ჭოხონელიძე, შერგელაშვილი, ოქროპირაშვილი, ანფიმიადი, ერქომაიშვილი, ვეკუა, ხერხაძე, ქორიძე.

“დინამო”: ურუშაძე, ჩიტაური, კანთელაძე, პეტრიაშვილი, ხინჩაგაშვილი, მაჩაიძე, კუტივაძე, ილიადი, ბურჯანაძე (მჭედლიშვილი), გავაშელი, ლ. ნოდია.

მსაჯი: გ. ბაქანიძე (თბილისი).

ქუთაისელები საბრძოლოდ იყვნენ განწყობილი თავიდანვე, მაგრამ გოგიამ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და ხელიდან გაუშვა კუტივაძის მიერ დარტყმული ბურთი.

შესვენების შემდეგ ოქროპირაშვილმა ანგარიში გაათანაბრა.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 30 მაისი, 1970 წ.